დადგენილება:**დ-37. 3726196001**
თარიღი:**15/07/2026**

დადგენილება N16

2026 წლის 14 ივლისი

ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20, 25-ე მუხლების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის დებულება“ თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №13 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 02/05/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.113.016462).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 15 აგვისტოდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი